საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/51 " 5 " მაისი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 6 აპრილის №06-2902 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა. წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ, მოქალაქეთა მომსახურების სრულყოფის მიზნით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტისაგან მოითხოვა მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში ბანკის ფილიალის, ასევე 3 ცალი სწრაფი გადახდის აპარატის განთავსება. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის ფართების, კერძოდ, ბანკის სერვის ცენტრის განთავსების მიზნით 12,5 კვ.მ ფართისა და 3 ცალი სწრაფი გადახდის აპარატის განთავსების მიზნით 3 კვ.მ. ფართის, სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №326 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების" პირველი მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის ზემოაღნიშნული ფართების სარგებლობაში გადაცემა სამი წლის ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი